პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 23 სექტემბერი, 1949 წ. № 189 (8492). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

ჯაშუშები და მკვლელები ხელისუფლების სათავეში—„პრავდის“ 21-IX მოწინავე (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისასალმებელი დეპეშა ამხანაგ მარსელ კაშენს (1-ლი გვერდი).
ახალი წარმატებებით შეეხვდეთ დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავს! (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
ნ. შველიძე — ფილმი საკოლმეურნეო სოფლის ადამიანებზე (მე-2 გვერდი).
პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისაკენ (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის მთავრობის პასუხი იტალიის მთავრობის ნოტაზე (მე-2 გვერდი).
უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამოზიარეთა სასამართლო პროცესი (მე-3 და მე-4 გვერდი).
მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

# ჯაშუშები და მკვლელები ხელისუფლების სათავეში

ბუდაპეშტში მიმდინარე სასამართლო პროცესი დღითიდღე სულ უფრო აშკარავებს უნგრეთისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის წინააღმდეგ იმპერიალისტური წრეების შეთქმულების სურათს. რაიკის, პალფის, ბრახოვისა და სხვების ჩვენებანი მკაფიო შუქს ფენენ ამ შეთქმულების სულისჩამდგმელთა და მათი უნგრელი და იუგოსლავი დაქირავებული აგენტების დანაშაულებრივ ბრახვებს, შეიცავენ ახალ ფაქტებს იუგოსლავიის ფაშისტი მმართველების ჯაშუშურ-ძირგამომთხრელი საქმიანობის ვერაგული მეთოდებისა და საშუალებების შესახებ.

უკვე საბრალდებო აქტში იყო დოკუმენტალურად დამტკიცებული, რომ შეთქმულების ძირითარები არიან იმპერიალისტური წრეები, რომლებმაც ამ შეთქმულების გეგმის განხორციელებაში მთავარი როლი ტიტო-რანკოვიჩის ფაშისტურ ხროვას დააკისრეს. „პირველ პლანზე იუგოსლავიელ ჯაშუშთა წამოწევა, — ნათქვამია საბრალდებო აქტში, — დაკავშირებული იყო იმასთან, რომ განთავისუფლებულ იუგოსლავიაში რაიკის მსგავსი ამერიკელი ჯაშუშები, პროვოკატორები და ტროცკისტები იუგოსლავიელთაგან სათავეში ჩაუდგნენ ხელისუფლებას... მათ შორის იყო 150-მდე ჯაშუში, რომლებიც 1941 წელს რაიკთან ერთად გესტაპოს წარმომადგენლების მიერ საფრანგეთის ბანაკებიდან იუგოსლავიაში გაიგზავნენ ჯაშუშური მუშაობისათვის“. სწორედ უცხოეთის იმპერიალისტურ დაზვერვათა ჯაშუშები შეადგენენ ტიტოს მახლობელი წრის ძირითად ნაწილს.

იმპერიალისტებმა ამოცანად დაისახეს ტიტოელ ჯაშუშთა დახმარებით მსოფლიო რეაქციის ბანაკში გადაეყვანათ უნგრეთი, ხოლო შემდეგ სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებიც, თავის კოლონიებად და ახალი ომის პლაცდარმად გადაექცეთ ისინი. ჯაშუშ და პროვოკატორ ბრანკოვის, ტიტო-რანკოვიჩის ფაშისტური ხროვის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური აგენტის, — ჩვენება საკუთარ ამხილებს თავიანთ დანაშაულობებში გახლართულ ტიტოელებს. ბრანკოვი აჩვენებს, რომ ამერიკელებმა და ინგლისელებმა თავიანთ აგენტებად აიყვანეს პირველ რიგში ჯილასი, კარდელი და რანკოვიჩი. იუგოსლავიის ახლანდელი მმართველები უკვე დიდი ხანია არიან იმპერიალისტური დაზვერვების დაქირავებული აგენტები და ლაქიის გულმოდგინებით ასრულებდნენ და ასრულებენ თავიანთი ბატონ-პატრონების ყოველგვარ ბინძურ დავალებას.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წლებში ტიტოს, რანკოვიჩის, კარდელის, ჯილასის აგენტებმა კავშირი დაამყარეს ამერიკისა და ინგლისის სადაზვერვო სამსახურთან. 1943-1944 წლებში ტიტომ ნება დართო ინგლის-ამერიკის წარმომადგენლებს ყოფილიყვნენ იუგოსლავიის უმაღლეს შტაბთან; სამხედრო მისიების სახით ამერიკელი და ინგლისელი ჯაშუშები „მივლინებულ იქნენ“ აგრეთვე მაკედონიის, ხორვატიის, სლოვენიისა და ვოივოდინის მთავარ შტაბებთან. ამ „წარმომადგენლებმა“ მოახერხეს ინგლის-ამერიკის გავლენისათვის დაემორჩილებინათ იუგოსლავიის ხელმძღვანელები. უკვე იმ დროს, როგორც ეს სასამართლოში გამოირკვა, ტიტო და მისი თანამონაწილეები იჩენდნენ მზადყოფნას მიეღოთ ჩერჩილის წინადადება იუგოსლავიის ადრიატიკის სანაპიროს ინგლისის ჯარების მიერ ოკუპაციის შესახებ. ეს გამცემლები უკვე მაშინ მზად იყვნენ მიეღოთ აგრეთვე წინადადება ინგლისელებისა და ამერიკელების „დახმარების“ შესახებ ბელგრადისა და სერბიის „განთავისუფლებაში“. საბჭოთა არმიის სწრაფმა შეტევამ ჩაშალა ეს გეგმა ინგლისელებისა და ამერიკელებისა, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ იუგოსლავიის ოკუპაცია.

ტიტოს ხროვა არა მარტო იღებდა თავის შტაბებში ინგლის-ამერიკის დაზვერვათა წარმომადგენლებს, არამედ იუგოსლავიის ფაშისტებს გარეთაც, გულმოდგინედ ამყარებდა კავშირს ამ დაზვერვებთან და ასრულებდა მათს დავალებებს. ომის წლებში ამ ხროვამ სპეციალური რწმუნებული გაგზავნა შვეიცარიაში, რათა კავშირი დაემყარებინა ევროპაში ამერიკის ჯაშუშური ორგანიზაციის ხელმძღვანელ, საკმაოდ ცნობილ ალენ დალესთან. ასეთსავე ამოცანებს ასრულებდნენ იუგოსლავიის რწმუნებულები მარსელსა და ბერნში. ლონდონში იღწვოდა ინგლისის ძველი ჯაშუში გენერალი ველებიტი, რომელმაც შემდეგ იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის პოსტი დიკავა. 1944-45 წლების ზამთარში დალესმა შვეიცარიასა და საფრანგეთში ტიტოს აგენტების დახმარებით იუგოსლავიის საძხედრო კომისიის სახით ჯაშუშური ჯგუფი ბელგრადზე გაგზავნა უნგრეთში, საბჭოთა არმიის ზურგში.

ბრანკოვის აღიარებთ, იგი სისტემატურად იღებდა თავისი უნგრელი აგენტის რაიკისაგან ჯაშუშურ ცნობებს და რანკოვიჩისა და კარდელის ბრძანებით ამ ცნობებს გადასცემდა ამერიკისა და ინგლისის მისიებს. თანაშრომლობა ამერიკისა და იუგოსლავიის დაზვერვათა შორის ისე შორს წავიდა, რომ, როგორც სასამართლოში სენიმ — ამერიკის ერთ-ერთმა ჯაშუშმა—განაცხადა, — „ზვირად ძნელი იყო იმის გარკვევა, თუ სად თავდებოდა ამერიკის დაზვერვა და სად იწყებოდა იუგოსლავიის დაზვერვა“.

სასამართლო პროცესზე გამოაშკარავებული ფაქტები მოწმობენ, რომ იუგოსლავიის ახლანდელი მმართველები იმპერიალისტური წრეების დავალებით ომის შემდეგ ცდილობდნენ გულმოდგინედ დაენერგათ ჯაშუშურ-სადივერსიო ორგანიზაციები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, იმუშავებდნენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებათა, სამხედრო ინტერვენციის, დივერსიების, მკვლელობის გეგმებს, ამ გეგმების შესასრულებლად აგროვებდნენ ნაცად ჯაშუშებს და პროფესიონალ მკვლელებს და წარმართავდნენ მათს დანაშაულებრივ საქმიანობას.

კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიუროს ცნობილი რეზოლუციის გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც ტიტოს ხროვა მხილებული იქნა როგორც სოციალიზმის საქმის გამცემთა ჯგუფი, იუგოსლავიის მმართველებმა უფრო გააძლიერეს თავისი პროვოკატორული და ჯაშუშური მუშაობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. საზიზღარი გეგმა, რომელიც ბელგრადელი ჯაშუშების მეთაურმა ტიტომ შეიმუშავა, ისახავდა იუგოსლავიელი ხალხის პროვოკაციულ წასისიანებას სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებზე, ნაციონალისტური, კათოლიკური და ფაშისტური ელემენტების შეკავშირებას სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და ორიენტაციას იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე. იუგოსლავიის ფაშისტმა მმართველებმა იცოდნენ, რომ არ შეიძლება ამ ანტიხალხური გეგმით აშკარად გამოსვლა. ამიტომ მათ თავის იარაღად აირჩიეს ბრძოლის ისეთი ვერაგული საშუალებანი, როგორიცაა ჯაშუშობა, პროვოკაციები, დივერსიები, იუგოსლავი ხალხის საუკეთესო შვილების და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საზოგადო მოღვაწეების ქურდულად დახოცვა.

იუდა ტიტო თავის მზვერავებს გზავნიდა სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში და ამოცანად უსახავდა მათ შეპარულიყვნენ კომუნისტურ და მუშათა პარტიებში, გამძვრალიყვნენ ხელმძღვანელ სახელმწიფო პოსტებზე, მოემზადებინათ საზოგადო მოღვაწეთა მკვლელობა და საძხედრო ინტერვენცია. თავისი აგენტურის შენარჩუნების მიზნით ტიტო მომართავდა შენიღბვის, თვალთმაქცობის ყველაზე საზიზღარ და საძაგელ მეთოდებს. მაგალითად, ბუდაპეშტში იუგოსლავიის ჯაშუშური ცენტრის მეთაურს ბრანკოვს წინადადება მიეცა საჯაროდ დაეგმო ტიტო, „გამიჯვნოდა“ მის პოლიტიკას, რათა მოეპოვებინა დემოკრატიული უნგრეთის ხელმძღვანელთა ნდობა და განეგრძო თავისი ჯაშუშურ-ძირგამომთხრელი მუშაობა ტიტოს ხროვის დავალებათა მიხედვით.

იუგოსლავიის ბურჟუაზიული ნაციონალისტები ნამდვილი განძი იყვნენ უცხოეთის იმპერიალისტური დაზვერვებისათვის. საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქცია დამარცხდა თავის არაერთგზის ცდაში — აღედგინა რეაქციული რეჟიმები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიების დახმარებით. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში პოლიტიკური ბრძოლის მსვლელობაში ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიები მხილებულ იქნენ ხალხის მასების თვალში და გაკოტრდნენ. მთელი მოწინავე, ნამდვილად რევოლუციური ძალები ამ ქვეყნებში კომუნისტური და მუშათა პარტიების გარშემო გაერთიანდნენ.

იმპერიალისტური რეაქცია გრძნობდა, რომ ნიადაგს კარგავდა ფეხქვეშ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, რომ ექსპლოატატორული კლასები დღითიდღე სუსტდებიან, ხოლო ხალხის ძალები იზრდებიან და მტკიცდებიან. ამ პირობებში იმპერიალისტებმა აირჩიეს ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდები. აღებულ იქნა გეზი სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის დამხობისაკენ ჯაშუშობის, შეთქმულებების, დივერსიების, მკვლელობისა და ინტერვენციის საშუალებით, რათა აღედგინათ კაპიტალისტური წყობილება, კაპიტალისტებისათვის დაებრუნებინათ ფაბრიკები, ქარხნები და ბანკები, ხოლო გლეხებისათვის წაერთმიათ მიწა და მემამულეებისათვის გადაეცათ. და ამ შავბნელ ძირგამომთხრელ მუშაობაში მთავარი როლი განეკუთვნა ტიტოს ფაშისტურ ხროვას, რომელიც იმპერიალისტურ დაზვერვათა დავალებებს ასრულებს.

იმპერიალისტურ დაზვერვათა ჯაშუშები იუგოსლავიაში სათავეში მოექცნენ ხელისუფლებას და ფაშიზაციის ამოცანებს დაუჭვემდებარეს იუგოსლავიის მთავრობის მთელი საშინაო პოლიტიკა. აღმოფხვრა რა იუგოსლავი ხალხის დემოკრატიული მონაპოვარნი, ტიტო-რანკოვიჩის ხროვამ იუგოსლავიაში დაამყარა ფაშისტურ-გესტაპოური ტიპის ტერორისტული რეჟიმი. იუგოსლავიის მთელი ეკონომიკა დაყენებულია უცხოეთის კაპიტალის კონტროლქვეშ. იუგოსლავიაში გამეფებულია მმართველობის გესტაპოური მეთოდები. ფეხქვეშ ითელება აზრის ყოველგვარი თავისუფალი გამოხატულება, ფეხქვეშ ითელება ადამიანის ყველა უფლება. იუგოსლავიის საპატიმროები გაჭედილია სოციალისტური ბანაკის მოძმეებით. ტიტოს ფაშისტური ხროვის პირსისხლიანი ჯალათები სპობენ იუგოსლავი ხალხის საუკეთესო შვილებს. იუგოსლავიის კომუნისტური პარტია გადაქცეულია პოლიციის შეფ რანკოვიჩისადმი დაქვემდებარებული პოლიტიკური პოლიციის განყოფილებად. ხალხის მოტყუების მიზნით დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ბოროტი დეზერტირები ძველავ ლაყბობენ სოციალიზმზე. მაგრამ ეს არის შულერული ხერხი, რომელიც ტიტოელებმა გებელსის პროპაგანდის არსენალიდან ისესხეს! გამცემლებს ნიღაბი ჩამოგლიჯეს, გამოჩნდა სოციალიზმის რენეგატების შემზარავი სახე, გამოჩნდა მათი სამარცხვინო გზა სოციალიზმიდან ფაშიზმისაკენ, ამერიკისა და ინგლისის დაზვერვაში ჯაშუშური სამსახურისათვის.

ბუდაპეშტის სასამართლო პროცესი ცხადყოფს, თუ რაოდენ დაბლა დაეცა ტიტოს ფაშისტური ხროვა!

იუგოსლავიის მთავრობამ, რომელიც ჯაშუშებისა და მკვლელებისაგან შედგება, იუგოსლავიის ხალხებს განუმზადა უდიდესი უბედურება, შიმშილი, სიღატაკე და უუფლებობა. იუგოსლავი ხალხის საუკეთესო შვილები ძმაცური ბრძოლას ეწევიან იუგოსლავიის ფაშისტ მმართველთა წინააღმდეგ და აღორძინებენ ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულ რევოლუციურ კომუნისტურ პარტიას. ტიტო-რანკოვიჩის ხროვა აღგვილი იქნება ხალხის რისხვით, მას ვერ იხსნის ვერც სისხლისმღვრელი ტერორი, ვერც იმპერიალისტებისათვის ჯაშუშური სამსახური.

იუგოსლავიის ფაშისტმა მმართველებმა, რომლებიც უცხოეთის იმპერიალისტური დაზვერვების დაქირავებული ჯაშუშები არიან, იუგოსლავიაში დაამყარეს ტერორის, ჯაშუშობის, პროვოკაციებისა და დივერსიების რეჟიმი. მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ ხალხის მტრები ბრძოლის ისეთ უიმედო საშუალებებს, როგორიცაა დივერსიები, პროვოკაციები, მკვლელობა, მიმართავენ არა იმიტომ, რომ ძლიერი არიან, არამედ იმიტომ, რომ სუსტი და დასაღუპავად განწირული არიან. ისტორია გვასწავლის, რომ ხალხს შეუძლია გაანადგუროს ყოველგვარი მტერი, თუ იგი ფხიზელი და ორგანიზებულია, თუ მას ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშის ერთგული მუშათა კლასის პარტია.

**„პრავდის“ 21/IX მოწინავე.**

# ამხანაგ მარსელ კაშენს

დიდად პატივცემულო ამხანაგო კაშენ!

თქვენი დაბადების 80 წლისთავის დღეს ნება მიბოძეთ მოგესალმოთ, როგორც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ფრანგი ხალხის ერთგულ შვილსა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს საფრანგეთის ხალხისა და მთელი მსოფლიოს ხალხების საკეთილდღეოდ.

მაგრად გართმევთ ხელს.

**ი. სტალინი**

# ახალი წარმატებებით შეეხვდეთ დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავს!

## თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მიმართვა დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსისა და მოსამსახურისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებულ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას ახალ-ახალი წარმატება მოაქვს. თვიდან თვემდე იზრდება შრომითი აღმავლობა. სოციალისტური ინდუსტრია უმაგალითო ტემპით ვითარდება.

საბჭოთა სახელმწიფოს დაზგათმშენებელმა მრეწველობამ სტალინური ხუთწლედის წლებში ჩვენი ქარხნები და ფაბრიკები პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვა.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა ავწონდავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი, მოვახდინეთ შინარესურსების მობილიზაცია, ენთუზიაზმით ვებმებით საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. სასაქონლო და საერთო პროდუქციის გამოშვების 1949 წლის გეგმა შევასრულოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავისათვის;

2. 7 ნოემბრისათვის გამოვუშვათ 1.500 ათასი მანეთის ზეგეგმითი სასაქონლო პროდუქცია;

3. დაზგების გამოშვების წლიური გეგმა შევასრულოთ სტალინური კონსტიტუციის დღის — 5 დეკემბრისათვის;

4. შრომის ნაყოფიერების ზრდის 1949 წლის გეგმას გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადავაჭარბოთ 25 პროცენტით;

5. დავზოგოთ 600 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია;

6. მუშათა კადრების მომზადების წლიური გეგმის შესრულება დავამთავროთ 7 ნოემბრისათვის;

7. საექსპლოატაციოდ გადავცეთ სამჭედლო-თერმული და სხვა დანიშნულების დაზგების საამქროების შენობები.

ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფისა და მოწინავე ტექნიკის ათვისებისათვის, წარმოებაში ათობით ახალი რაციონალიზატორული წინადადების და გამოგონებათა დანერგვისათვის, კადრების კულტურულ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

უეჭველია, რომ ჩვენი ქარხნის მჭიდროდ დარაზმული კოლექტივი, რომელსაც სიძნელეთა გადალახვის მდიდარი გამოცდილება აქვს, სასახელოდ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდება ოქტომბრის 32-ე წლისთავის დიად დღესასწაულს.

ჩვენ მოვუწოდებთ თბილისის სამრეწველო საწარმოების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს, ერთსულოვნად ჩაებან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიაღწიონ ახალ საწარმოო წარმატებებს, უფრო განამტკიცონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერება.

მთელი ძალები მოვახმაროთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლის გეგმის ვადამდე შესრულებას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

დიდება ბოლშევიკურ პარტიას—საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს საყვარელ სტალინს!

(მიმართვა განხილული და მიღებულია საერთო საქარხნო მიტინგზე 1949 წლის 22 სექტემბერს).

## სილნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ხორბლის დამზადების გეგმა

სილნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა 100 პროცენტით შეასრულეს ხორბლის დამზადების გეგმა. მათ ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ აგრეთვე სიმინდის დამზადების გეგმა.

## ახალი მოსავლის ჭარხლის პირველი შაქარი

**ხაშური,** 22 სექტემბერი. (საქდესი). 21 სექტემბერს აგარის შაქრის ქარხანა შეუდგა ახალი მოსავლის შაქრის ჭარხლის გადამუშავებას. 22 სექტემბერს ქარხანამ გამოუშვა პირველი რამდენიმე ტონა შაქრის ფხვნილი.

განუწყვეტელ ნაკადად მიემართებიან ქარხნისაკენ ახალი მოსავლის ჭარხლით დატვირთული საკოლმეურნეო ავტომანქანები და ურმები. ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა 5.000 ცენტნერზე მეტი შაქრის ჭარხალი ჩააბარეს ქარხანას.

## შაქრის ჭარხლის ამოღება დაიწყო

**ქარელი.** (საკ. კორ.). ქარელისა და ხაშურის რაიონების კოლმეურნეობებში დაიწყო შაქრის ჭარხლის ამოღება და ჩაბარება. ეს სამუშაოები ორგანიზებულად მიმდინარეობს ქარელის რაიონის სოფელ ავლევის, აბანოს, საციხურის, კოდავეთის, ქვემო შაქშაქეთის, ძნოლევის, ჭვრინისისა და ხაშურის რაიონის სოფელ ტკოცის, პატარა ფლევის, პირველი და მეორე ნაცარგორის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

აგარის მიმღებ პუნქტს ქარელისა და ხაშურის რაიონებიდან უკვე მიღებული აქვთ 9.000 ცენტნერზე მეტი შაქრის ჭარხალი.

## ახალი საგაზეთო სტამბა

**ბათუმი.** (საკ. კორ.). გაიხსნა ახალი საგაზეთო სტამბა, რომელშიც დადგმულია ორი საროტაციო მანქანა, 7 ლინოტიპი, პრესი, სასტერეოტიპო და სხვა დანადგარები. სტამბას აქვს სალინოტიპო, სასტერეოტიპო, საროტაციო, სამენტრაპაჟო და ცინკოგრაფიის საამქროები. სტამბის საექსპლოატაციოდ გადაცემამდე მომზადებულ იქნა კვალიფიციური მუშათა კადრები—ლინოტიპისტები, მბეჭდავები, სტერეოტიპორები, ცინკოგრაფიის ოსტატები და სხვ.

ახალ სტამბაში დაიბეჭდება გაზეთები „საბჭოთა აჭარა“ და „ბატუმსკი რაბოჩი“.

## მხატვრული თვითმოქმედების საქართველოს რესპუბლიკური ოლიმპიადა

მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების საქართველოს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით რესპუბლიკური ოლიმპიადა დაიწყება 26 სექტემბერს და დამთავრდება 30 სექტემბერს.

ოლიამპიადის მონაწილენი გამოვლენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ყველა რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკის ის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები, რომელთაც გაიმარჯვეს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების დათვალიერებაზე.

რესპუბლიკურ ოლიამპიადაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის სისტემაში შემავალი კულტურის სახლების, კლუბებისა და ქოხ-სამკითხველოების, პროფესიული კავშირებისა და საკოლმეურნეო კლუბების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დიდ დარბაზში 26 სექტემბერს გაიხსნება მხატვრული ნამუშევრების გამოფენა. აქ წარმოდგენილი იქნება ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები: ფერწერა, მხატვრული ქარგულობა, ხალიჩები, ხეზე კვეთილობა, ძვალზე კვეთილობა, ჭედურობა, ქანდაკება, ხეზე ამოწვა და სხვ.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გამოყოფილია საარბიტრაჟო კომისია და ოლიმპიადის ჟიური.

ქალაქები და რაიონები საღამო-კონცერტებზე გამოვლენ შემდეგ დღეებში:

**26 სექტემბერს** (ორშაბათს) თბილისი, გორი, ცაგერი, ლანჩხუთი, წალენჯიხა, აბაშა, კაჩრეთი, წითელწყარო, ახალქალაქი, ბოგდანოვკა, მარნეული, მცხეთა, ქლუხორი, ზესტაფონი, საჩხერე, წულუკიძე;

**27 სექტემბერს** (სამშაბათს) ქუთაისი, სამხრეთ ოსეთი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, ცხაკაია, სილნაღი, საგარეჯო, ახალციხე, ბოლნისი, გარდაბანი, კასპი, ქუთაისის რაიონი, წყალტუბო, ჭიათურა, ჭიათურის რაიონი, ამბროლაური, წალკა;

**28 სექტემბერს** (ოთხშაბათს) — აჭარა, რუსთავი, ფოთი, მახარაძე, ხობი, გურჯაანი, ლაგოდეხი, თიანეთი, ასპინძა, დმანისი, დუშეთი, ბორჯომი, ორჯონიკიძე, მაიაკოვსკი, ონი, სამტრედია;

**29 სექტემბერს** (ხუთშაბათს) — აფხაზეთი, თელავი, ჩოხატაური, გეგეჭკორი, ახმეტა, ყვარელი, ყაზბეგი, ადიგენი, თეთრი წყარო, თბილისის რაიონი, ქარელი, ხაშური, ჩხარი, ვანი, ტყიბული, ქვემო სვანეთი, ზემო სვანეთი;

**30 სექტემბერს** (პარასკევს)—მოეწყობა დასკვნითი საღამო-კონცერტი.

ბილეთები წინასწარ იყიდება ოპერის სალაროში.

## ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 20 სექტემბრის ცნობებით)

| რაიონების დასახელება | გეგმის შესრულება პროცენტობით წლიურისა | გეგმის შესრულება პროცენტობით სექტემბრისა |
|---|---|---|
| ბათუმი | 90,4 | 55,4 |
| ქობულეთი | 93,2 | 67,8 |
| სულ აჭარაში | 92,5 | 64,9 |
| გალი | 100,2 | 102,0 |
| ოჩამჩირე | 102,9 | 129,8 |
| გულრიფში | 102,4 | 93,5 |
| სოხუმი | 101,2 | 50,0 |
| გუდაუთა | 116,8 | 96,4 |
| სულ აფხაზეთში | 102,2 | 110,0 |
| მახარაძე | 89,3 | 54,7 |
| ჩოხატაური | 82,0 | 35,3 |
| ლანჩხუთი | 85,6 | 42,1 |
| სამტრედია | 110,1 | 152,8 |
| წულუკიძე | 120,3 | 194,3 |
| ქუთაისი | 174,7 | 216,7 |
| წყალტუბო | 107,8 | 161,8 |
| ტყიბული | 125,4 | 163,5 |
| ცხაკაია | 115,1 | 124,5 |
| აბაშა | 129,6 | 128,9 |
| გეგეჭკორი | 127,2 | 146,6 |
| ზუგდიდი | 103,7 | 136,8 |
| წალენჯიხა | 103,5 | 133,2 |
| ჩხოროწყუ | 112,3 | 136,1 |
| ხობი | 103,9 | 127,3 |
| ჩხარი | 108,8 | 142,5 |
| ზესტაფონი | 109,5 | 70,0 |
| სულ რესპუბლიკაში | 98,6 | 75,3 |

# როგორ ანაღდებენ მეჩაიეები ნაკისრ ვალდებულებებს

**აფხაზეთის** ასსრ კოლმეურნეობებმა 20 სექტემბრისათვის წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 176,4 ტონა ჩაის ფოთოლი. ნაკისრი ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 800 ტონა.

**წულუკიძის** რაიონმა ვალდებულების ანგარიშში მოკრიფა 228,5 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება კი 250 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

**ქუთაისის** რაიონის მეჩაიეებს ნაკისრი ჰქონდათ ვალდებულება მოეკრიფათ 212 ტონა ჩაის ფოთოლი, ფაქტიურად მოკრიფეს 223,6 ტონა.

**წყალტუბოს** რაიონში მოკრეფილია 42,9 ტონა ჩაი, ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 120 ტონა.

**ტყიბულელმა** მეჩაიეებმა ნაკისრ ვალდებულებას—200 ტონას უკვე გადააჭარბეს. მოკრეფილია 240,8 ტონა ჩაის ფოთოლი.

**ცხაკაიას** რაიონმა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფა 161,7 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულებით უნდა მოკრიფოს 200 ტონა.

**გეგეჭკორელმა** მეჩაიეებმა ნაკისრი ვალდებულების 500 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 602,4 ტონა.

**ზუგდიდის** რაიონში წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 234,6 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება 1.000 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, **ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავლის** მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა საჩაის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის **ნავალდებულო ჩაბარებისა** და **კონტრაქტაციის**, 1948 წელს მტესების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები, **დაჯილდოებულ იქნან:**

### მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

190. **ქათამაძე** სურიე ისლამის ასული — ქობულეთის რაიონის ციხისძირის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

191. **ქათამაძე** საბრიე მამუდის ასული — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

192. **ქათამაძე** ქევსერ სულეიმანის ასული — ქობულეთის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

193. **კახაილიში** ნაზმი ხასანის-ძე — ბათუმის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

194. **კახიძე** ნაფიე იბრაგიმის ასული — ბათუმის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

195. **კაჭარავა** ეკატერინე ალექსის ასული — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

196. **ყაჭეიშვილი** ვერა ლავროსის ასული—ჩოხატაურის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

197. **კბილიანიშვილი** სონია პავლეს ასული — მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

198. **ქვარაია** ლიდა ბატას ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ წევრი.

199. **კვარაცხელია** ვალიდა ივანეს ასული — მახარაძის რაიონის ნატანებების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

200. **კვარაცხელია** ნუცა თევდორეს ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „იინგირის“ წევრი.

201. **ქვარცხავა** ეპრაქსია ვიქტორის ასული — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

202. **კვაჭაძე** ელენე ივანეს ასული— მახარაძის რაიონის გურიანთის სასოფლო საბჭოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

203. **კვაჭაძე** მარკიანე ერმოლოზისძე — ლანჩხუთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

204. **კვაჭანტირაძე** კონსტანტინე ყაისარის-ძე — მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

205. **კვაჭანტირაძე** კუკენია ხარიტონის ასული — მახარაძის რაიონის გურიანთის სასოფლო საბჭოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

206. **კვაჭანტირაძე** თამარ ალექსანდრეს ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

207. **კვაჭანტირაძე** თამარ დიმიტრის ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

208. **ქველაძე** სონია მოსეს ასული— მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

209. **კვეჩიძე** ოლღა სიმონის ასული — ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

210. **კემულარია** მარგალიტა მალხაზის ასული — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

211. **კესიდი** ფიკა ადამის ასული — ბათუმის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

212. **კეშანიდი** ანა ივანეს ასული — ბათუმის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

213. **კიზირია** ციალა გიორგის ასული — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

214. **კიკალიშვილი** ვერა ჩაკალის ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ მერგოლური.

215. **კილაძე** მარიამ სამსონის ასული —ლანჩხუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

216. **კილაძე** კონსტანტინე ხალამპრეს-ძე — მახარაძის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

217. **კილაძე** შატუ დიომიდეს ასული — ლანჩხუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

218. **ქინქლაძე** თამარ ნიკოლოზის ასული — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

219. **კობიძე** ბესარიონ გიორგის-ძე —ჩოხატაურის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

220. **კობიძე** ლენა ლუკას ასული — ჩოხატაურის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

221. **ქობულაძე** ნადია ბაგრატის ასული — ქუთაისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

222. **კოვიტიდი** ემორფილი გიორგის ასული — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

223. **კოზმავა** ანეტა ნაუს ასული — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

224. **კონცელიძე** გული რამიზის ასული — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

(**მაგრძელება იქნება**)

*) გაგრძელება, იხ. „კომუნისტი“ № 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188.

---

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებიდან

# მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცხოველმყოფელი ძალა

გადაწყვეტილება მივიღეთ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა ჰექტარზე ავიყვანოთ 800 ცენტნერამდე, სიმინდისა — 30 ცენტნერამდე, ხოლო 10 ჰექტარი ფართობის თვითეული ჰექტარზე მოვიყვანოთ 100 ცენტნერი ყურძენი.

კოლმეურნეობის საწარმოო გეგმა განვიხილეთ პარტიული ბიუროს სხდომაზე, რომელიც წინ უსწრებდა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას. ამასთან ერთად გამოირკვა, თუ როგორ მოემზადა კოლმეურნეობა თესვისათვის. გამოვლინდა ზოგიერთი ნაკლოვანებაც. სხვა ღონისძიებებთან ერთად გავითვალისწინეთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მინდვრად, ბრიგადებში გადატანა.

ცოტა ხნის შემდეგ პარტიული ორგანიზაციის კრებაზე აგიტატორთა მუშაობის საკითხი განვიხილეთ.

ჩვენს კოლმეურნეობაში სულ 5 საწარმოო ბრიგადაა. თვითეულ ბრიგადაში გამოყოფილია აგიტატორი. ჩვენი აგიტატორები სოფლის მოწინავე ადამიანებია, რომელთაც სააგიტაციო მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. ასეთია, მაგალითად, კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი ალ. ვანიშვილი, რომელიც თავისი საქმის კარგი მცოდნეა, რაზმავს კოლმეურნეებს მაღალი მოსავლის მისაღებად. მესამე ბრიგადის წევრები ყოველთვის ცხოველი ინტერესით უსმენენ აგიტატორ ა. ვანიშვილის შინაარსიან საუბრებს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული კოლმეურნეობის, ბრიგადის საბრძოლო ამოცანებთან.

ერთხელ, ეს იყო სამი თვის წინათ, ამ ბრიგადის ვენახში ზოგიერთი სამუშაო ჩამორჩა. აგიტატორი ესაუბრა ბრიგადის წევრებს, მოაგონა გურჯაანელ მევენახეთა მოწოდების საპასუხოდ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა სერიოზული მნიშვნელობა და მოუწოდა სწრაფად გამოესწორებინათ ჩამორჩენა ვენახის სამუშაოებში. აგიტატორის დახმარებით ბრიგადირმა სწორად გაანაწილა ძალები, კოლმეურნეთა ნაწილი ჭარხლის პლანტაციებში გადაიყვანა, ნაწილი სიმინდის თონნაზე, გამოცდილ კოლმეურნეთა ჯგუფი კი ვაზის დამუშავებას შეუდგა. მდგომარეობა გამოსწორდა. კოლმეურნეთა ბეჯითი შრომისა და სწორი ხელმძღვანელობის შედეგად ჩვენი ვენახები ახლა საუცხოოდ მოვლილია და მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

ჩვენი კოლმეურნეები დიდად დაინტერესებული არიან მეაბრეშუმეობით. ამ საქმის ნოვატორს ლიზა ედილაშვილს, რომელიც მეაბრეშუმეთა ბრიგადას ხელმძღვანელობს, ყოველ წელიწადს აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი მოჰყავს. წელს გადდებული ვალდებულება იკისრეს ხიდისთაველმა მეაბრეშუმეებმა. ბრიგადირი დაუღალავად მუშაობდა აბრეშუმის ჭიის ნორმალურად გამოკვების უზრუნველსაყოფად. როცა მან შენიშნა, რომ ზოგიერთი კოლმეურნე სათანადოდ არ უვლიდა აბრეშუმის ჭიას, დახმარება სთხოვა აგიტატორს, ექიმის თანაშემწეს ეკ. ტლაშაძეს. აგიტატორი კარგად მოემზადა საუბრისათვის, გაეცნო მასალებს ქისტაურელ მეაბრეშუმეთა მუშაობის შესახებ. ამ საუბრის შემდეგ მეაბრეშუმე ქალებმა საქმეს მეტი მონდომებით მოჰკიდეს ხელი. ბრიგადამ აბრეშუმის უხვი მოსავალი მოიყვანა და პარკის ჩაბარების გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

აგიტატორებად გამოყენებული გვყავს მასწავლებლებიც, ფერმის მუშაკებიც. მეცხოველეობის ფერმაში აგიტატორად ფერმის გამგე ივანე ტლაშაძე მუშაობს. ამხ. ტლაშაძე ყოველ კვირას ჩამოდის საძოვრებიდან, მიაქვს მწყემსებთან ახალი ჟურნალ-გაზეთები, შინაარსიანად, მიმზიდველად ესაუბრება მათ, რაზმავს ფერმის მუშაკებს პირუტყვის ნამატის შენარჩუნებისა და პროდუქტიულობის გაზრდისათვის.

აგიტატორთა საუბრის თემები მრავალფეროვანია. ისინი აშუქებენ მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობას, კოლმეურნეებს მოუთხრობენ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, განუმარტავენ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს. აგიტატორთა მთელი მუშაობა დაკავშირებულია რგოლის, ბრიგადის, კოლმეურნეობის კონკრეტულ ამოცანებთან.

კოლმეურნეობის აგიტკოლექტივს ხელმძღვანელობს სოფლის სკოლის დირექტორი ამხ. შატაკიშვილი. უკანასკნელად აგიტკოლექტივის მუშაობა გამოცოცხლდა. განსაკუთრებით გაძლიერდა მუშაობა მოსავლის აღებასა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებასთან დაკავშირებით. ამხ. შატაკიშვილი ხშირად ამოწმებს აგიტატორთა მუშაობას, ავრცელებს მოწინავე აგიტატორთა გამოცდილებას.

კოლმეურნეობაში სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი, რომლის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეები. შემოღებულია საპატიო დაფა, სოციალისტური შეჯიბრების დაფა, თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული დამრაზმავი პლაკატ-ლოზუნგები, ზოგჯერ ვაწყობთ აღგილობრივ რადიოგადაცემას.

სასკოლო კლუბი კოლმეურნეთა საყვარელი ადგილია. საკოლმეურნეო ქინდვრებიდან დაბრუნებული კოლმეურნეები საღამოობით თავს იყრიან აქ, უსმენენ ლექციებს, საუბრებს, ნახულობენ კინოსურათებს, მონაწილეობენ თვითმოქმედი წრეების მუშაობაში, ესწრებიან საღამო-წარმოდგენებს.

მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მიმართულია სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისაკენ, უხვი მოსავლის მოყვანისაკენ. კარგად დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობითაც უნდა აიხსნას, რომ კოლმეურნეობამ მოკლე ვადაში დაამთავრა მოსავლის აღება და დროულად შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა.

ქმედითი აგიტაციის ცხოველმყოფელი ძალა დიდად გვეხმარება სამეურნეო წარმატებათა მოპოვებაში.

**დ. ნოზაძე**

**გორის რაიონის სოფელ ზემო ხიდისთავის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი**

---

# სსრ კავშირის მთავრობის პასუხი იტალიის მთავრობის ნოტაზე

ამა წლის 19 ივლისს სსრ კავშირის მთავრობამ იტალიის მთავრობას გაუგზავნა ნოტა ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებისადმი იტალიის მიმხრობის გამო. ნოტაში აღნიშნული იყო, რომ იტალიის მთავრობის მიმხრობა ჩრდილო ატლანტიკის აგრესიული ხელშეკრულებისადმი და შეიარაღებული ძალების გადიდება და სამხედრო წარმოების გაფართოება, რაც იტალიაში ხორციელდება საზავო ხელშეკრულებით დადგენილი ფარგლების გადამეტებით, ეწინააღმდეგება იტალიასთან დადებულ საზავო ხელშეკრულებას. ამავე საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის ერთდროულად გაგზავნილ ნოტებში აღნიშნული იყო ამ მთავრობათა პასუხისმგებლობა იტალიასთან დადებული საზავო ხელშეკრულების დარღვევისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ იტალიას მონაწილეობა მიიღებინეს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებაში.

28 ივლისს იტალიის მთავრობამ გამოგზავნა პასუხი საბჭოთა მთავრობის აღნიშნულ ნოტაზე. თავის პასუხში იტალიის მთავრობა, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების საწინააღმდეგოდ, ცდილობს აგრესიული ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება წარმოადგინოს როგორც თავდაცვითი ხელშეკრულება, ხოლო მისადმი იტალიის მიმხრობა, აგრეთვე მისი შეიარაღებული ძალების გადიდება და სამხედრო წარმოების გაფართოება წარმოადგინოს როგორც ისეთი მოქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება იტალიის მთავრობის მიერ საზავო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები თავიანთ პასუხებში აგრეთვე ცდილობენ მათი მოქმედება ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებაში იტალიის მიერ მონაწილეობის მისაღებად გაამართლონ იმის დამოწმებით, რომ თითქოს ეს ხელშეკრულება აგრესიული არ არის.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ 20 სექტემბერს იტალიის მთავრობას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„პასუხად იტალიის მთავრობის ამა წლის 28 ივლისის ნოტისა ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებისადმი იტალიის მიმხრობის შესახებ საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ იგი სავსებით ადასტურებს თავის პოზიციის ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების აგრესიული ხასიათის შესახებ, რაც ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა მთავრობის ამა წლის 19 ივლისის ნოტაში, და იმის შესახებ, რომ ამ ხელშეკრულებისადმი იტალიის მიმხრობა ეწინააღმდეგება იტალიასთან საზავო ხელშეკრულებას.

იტალიის მთავრობა თავის პასუხში ამტკიცებს, რომ იტალიის მთავრობის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ნათხოვნი სამხედრო „დახმარების“ ერთადერთი მიზანია იტალიის შეიარაღებული ძალები აიყვანოს საზავო ხელშეკრულებით ნებადართულ დონემდე. ამასთან იტალიის მთავრობა იმოწმებს იტალიის თავდაცვის მინისტრის ბ-ნ პაჩარდის განცხადებას იტალიის სენატში 1948 წლის 8 ოქტომბერს. ამის დამოწმება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საფუძვლიანად, ვინაიდან სენატში წარმოთქმულ თავის სიტყვაში ბ-ნმა პაჩარდიმ განაცხადა, რომ იტალიის მთავრობა აპირებს იტალიის შეიარაღებული ძალები ისე მოაწყოს, რომ ძათ ყოველ მომენტში ‘ეეძლოთ გადაიცვნენ „შეიარაღებულ ერად“. სამხედრო დახმარებამ, რასაც იტალიის მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას თხოვს, ხელი უნდა შეუწყოს სწორედ ამ მიზნის რეალიზაციას, რომელიც ბ-ნმა პაჩარდიმ გულახდილად განმარტა. იტალიის არმიის ორგანიზაციის ასეთი გეგმა პირდაპირ ეწინააღმდეგება საზავო ხელშეკრულებას, რომელმაც შეზღუდა იტალიის შეიარაღებული ძალების რაოდენობა. ამრიგად, ბ-ნ პაჩარდის განცხადება პირდაპირ ეწინააღმდეგება იმას, რის დამტკიცებასაც იტალიის მთავრობა ცდილობს თავის 28 ივლისის ნოტაში. ბ-ნ პაჩარდის განცხადება, პირიქით, ადასტურებს, რომ იტალიის მიმართვა სამხედრო „დახმარებისათვის“ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ისახავს ისეთ მიზნებს, რომლებიც ამკარად სცილდებიან საზავო ხელშეკრულების ფარგლებს და, ამრიგად, საზავო ხელშეკრულების დარღვევას წარმოადგენენ.

ამ საკითხთან სრულიად დაუკავშირებლად იტალიის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია თავის ნოტაში აღეძრა საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იტალიის მიღების შესახებ. ამასთან იგი ცდილობს საქმე ისე დასახოს, რომ იტალია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღებულ არ იქნა თითქოს საბჭოთა მთავრობის პოზიციის გამო, რაც სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან საბჭოთა მთავრობას არასოდეს არ გაულაშქრია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად იმ სხვა სახელმწიფოებთან ერთად იტალიის მიღების წინააღმდეგ, რომლებიც მიღებაზე შუამდგომლობენ.

იტალიის მთავრობის ნოტაში აღძრულია იტალიელი სამხედრო ტყვეების საკითხი, რაც არ ეხება საბჭოთა მთავრობის 19 ივლისის ნოტას. ამასთან საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ იტალიელი სამხედრო ტყვეების რეპატრიაცია სსრ კავშირიდან დამთავრდა ჯერ კიდევ 1946 წლის აგვისტოში, ე. ი. ერთი წლითა და მეტი ხნით ადრე საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე.

საბჭოთა მთავრობა იტალიის მთავრობის, რომელიც ჩრდილო ატლანტიკის პაქტს მიემხრო, ყურადღებას მიაქცევს მის მიერ საზავო ხელშეკრულების დარღვევას და იმ პასუხისმგებლობას, რაც მას ამ დარღვევისათვის აკისრია და რაც უკვე აღნიშნული იყო საბჭოთა მთავრობის 19 ივლისის ნოტაში“.

ამავე დროს საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს გაუგზავნა საპასუხო ნოტები, რომლებშიც მთლიანად დადასტურებულია საბჭოთა მთავრობის პოზიცია ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების აგრესიული ხასიათისა და იმის შესახებ, რომ ამ ხელშეკრულებისადმი იტალიის მიმხრობა ეწინააღმდეგება იტალიის მიერ საზავო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ნოტებში კვლავ აღნიშნულია ის პასუხისმგებლობა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს ეკისრებათ იტალიასთან დადებული საზავო ხელშეკრულების დარღვევისათვის.

(**საკდესი**).

---

# ფილმი საკოლმეურნეო სოფლის აღამიანებზე

თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ახალი მხატვრული ფილმი „ბედნიერი შეხვედრა“[1]) მოგვითხრობს ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაზე, საბჭოთა პატრიოტების დიად შემოქმედებით შრომაზე.

შრომა, შრომისადმი სიყვარული საბჭოთა ხალხის დამახასიათებელი თვისებაა. ჩვენს ქვეყანაში შრომა სახელისა და დიდების საქმედ არის გადაქცეული. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა მაღალი ჯილდოებით აღინიშნება. ომისშემდგომ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მრავალ მოწინავეს — უხვი მოსავლის საუკეთესო ოსტატებს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭათ.

სოციალისტური შრომის გმირთა სახელოვან პლეადაში არიან ჩაის უხვი მოსავლის ოსტატები.

დიდმა სტალინმა ჩვენი მეჩაიეების წინაშე მეტად საპატიო ამოცანა დასახა — უახლოეს დროში მთლიანად დაეკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თქვა: „ჩაის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევანი, რომლებმაც გაჰკაფეს გზა ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მისაღებად, გვარწმუნებს, რომ ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის დასახული ზრდა უთუოდ მიიღწეული იქნება. ჩვენი ქვეყანა მიიღებს მაღალხარისხოვან ქართულ ჩაის მისთვის საჭირო რაოდენობით“.

ფილმი „ბედნიერი შეხვედრა“ შესანიშნავად ასახავს მეჩაიე კოლმეურნეთა თავდადებულ შრომას, მათ ბრძოლას ჩაის მაღალი მოსავლისათვის. ფილმის დასაწყისში მაყურებლის თვალწინ იშლება საქართველოს ბუნების წარმტაცი პეიზაჟი. დილის მზის სხივები ქარგავენ ხეივნებითა და ბაღებით შემკულ საკოლმეურნეო სოფელს. შორიდან ისმის წარმტაცი მელოდია. ეკრანზე ვხედავთ კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ ახალგაზრდა მერგოლურს, ჩაის საუკეთესო მკრეფავს ეთერ ბაღრიძეს.

დასვენების დღეა. კოლმეურნეობაში სტუმრებს ელიან. აი მოვიდნენ კიდეც. სოფელში სიხარულით ეგებებიან მეზობელ კოლმეურნეობის წარმომადგენლებს. სტუმრებს უჩვენებენ ჩაის ხავერდოვან პლანტაციებს, სანიმუშოდ მოვლილ ნაკვეთებს. მაყურებელს იტაცებს თვალუწვდენელი პლანტაციების სილამაზე. ორი კოლმეურნეობა, სოციალისტურ შეჯიბრებაში ებმებიან ჩაის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. შეჯიბრებაში ებმებიან აგრეთვე კოლმეურნეობა „განთიადის“ ჩაის საუკეთესო მკრეფავის ჟუჟუნა ფუტკარაძისა და კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ სახელგანთქმული მერგოლურის ეთერ ბაღრიძის რგოლები. ჟუჟუნა და ეთერი ერთმანეთს ინდივიდუალურ შეჯიბრებაში იწვევენ.

მეზობლები ლელოშიც ეჯიბრებიან ერთმანეთს. მაყურებელი გატაცებით ადევნებს თვალს შრომაში გამოწრთობილ ადამიანთა სიმამაცეს და გამძლეობას. ახალგაზრდობა იბრძვის თავისი კოლმეურნეობის სასპორტო ღირსების დასაცავად. მხოლოდ უსაქმო ერემო არ იწუხებს თავს. ორი წელია, რაც ის ფრონტიდან დაბრუნდა, და მას შემდეგ სულ „ისვენებს“, მუშაობით თავს არ იწუხებს; კლუბში ახალ ცეკვებს ასწავლის ახალგაზრდებს. ქალაშვილების დაცინვით შეურაცხყოფილი ერემო მოწინააღმდეგეთა გუნდს ეხმარება და ბურთს იტაცებს.

გადამწყვეტ მომენტში, როდესაც განთიადელთა გამარჯვება თითქოს უზრუნველყოფილია, სოფლის გზაზე გამოჩნდება დემობილიზებული მაიორი ბიძინა ღლონტი, კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ ყოფილი აგრონომი. მას თან მოჰყავს პატარა ბიჭუნა. ბიძინა შეიტყობს თავის თანასოფლელთა გაჭირვებას, სწრაფად შეახტება ცხენს და მალე ბურთით ხელში გამარჯვებული შეიჭრება სოფელში. ყველა სიხარულით ეგებება ორდენებით მკერდდამშვენებულ ომგადახდილ ვაჟკაცს. მალე ეთერიც გაიგებს თავისი მეგობრის ჩამოსვლას და აღტაცებით გარბის სახლისაკენ.

ბიძინა უყვება მამას პატარა ზურიკოს თაეგადასავალს. იგი შვილია მისი მეგობრისა, რომელიც გმირულად დაიღუპა ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბიძინამ იპოვნა მისი შვილი და წამოიყვანა ობოლი ბავშვი. მას არ სურს ვინმემ გაიგოს, რომ ეს მისი შვილი არ არის, რათა ბავშვმა არ იგრძნოს ობლობა. სოფელში ხმა ვრცელდება, ბიძინას ცოლი შეურთავსო. ეთერი მწუხარებითაა შეპყრობილი.

თენდება მშვენიერი დილა. მაყურებლის თვალწინ იშლება ჩაის პლანტაციების წარმტაცი პანორამა. შორს ისმის გულის სიყრმეში ჩამწვდომი სიმღერების ხმები, ომგადახდილი ბიძინა უკვე ჩაება შრომაში, ის აგრონომად მუშაობს კოლმეურნეობაში და მალე პარტორგანიზაციის მდივნადაც ირჩევენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შესანიშნავი მოწინავე ქალი ნინო ბადრიძე, აცნობს მას კოლმეურნეობის მიღწევებს: ბევრი რამ გაკეთდა ამ რამდენიმე წლის განძილზე. ამჟამად არა მარტო კოლმეურნეობა, ბრიგადებიც მილიონერები არიან. კოლმეურნეობა კვლავ მუშაობს ახალი პლანტაციების გასაშენებლად. მალე მთელი მიდამო ჩაის ბუჩქებით შეიმოსება.

გაზეთში წერილი იბეჭდება კოლმეურნეობა „განთიადის“ ჟუჟუნა ფუტკარაძის რგოლის წარმატებაზე. ბიძინა ეკრემთან ერთად ეუბნებიან ერთმანეთს ამ ამბავს. ეკრემი ამბობს, ეს ჩემი ბიჭია, ეს ჩემი ბიჭია. ეკრემ ბიძინა ბავშვობიდან ეყვარებოდა, ბიძინა ეკრემ ბიძიად ეგულებოდა

# ორი თავმჯდომარე—მუშაობის ორი მაგალითი

ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მოწინავე კოლმეურნეობაა. კოლმეურნეობის საქმიანობას უნარიანად ხელმძღვანელობს ამხ. იასონ ქრისტესიაშვილი. იგი რიგითი კოლმეურნე იყო, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. მალე დარწმუნდა, რომ მუშაობაში წარმატების მოპოვებისათვის საჭიროა ცოდნა, საჭიროა მოიშველიო გაზეთები, ჟურნალები, წიგნები. იმ დღიდან თავმჯდომარე უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ცოდნის ამ წყაროებს. იგი ყოველთვის პოულობს დროს პოლიტიკური თვითგანათლებისათვის. მის სამუშაო ოთახში ნახავთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, საინტერესო წიგნებს, აგრონომიულ და მხატვრულ ლიტერატურას. წიგნებთან მჭიდრო მეგობრობა თავმჯდომარეს ეხმარება კარგად გაუძღვეს მეურნეობას, სწორად გამოიყენოს სოფლის ძალები, იყოს ინიციატივიანი მუშაობაში.

მოკლე დროის განმავლობაში სახე შეიცვალა ერედვმა. კოლმეურნეები ახლად აგებულ სახლებში ცხოვრობენ. სახლები განათებულია ელექტროსინათლით, მუშაობს რადიო. მოწინავე კოლმეურნეებს ბინებზე მოწყობილი აქვთ ტელეფონი. საკუთარი ბიბლიოთეკები. კოლმეურნეები შეძლებულად და კულტურულად აწყობენ თავიანთ ცხოვრებას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ლენინის ორდენოსანს იასონ ქრისტესიაშვილს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს ფართო აქტივი და მასზე დაყრდნობით წარმატებით ართმევს თავს კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანთან ამხ. ი. ბორცვაძესთან ერთად იგი ხშირად ატარებს საუბრებს ბრიგადირებთან, მერგოლურებთან. საუბარი შეეხება არა მარტო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მომდინარეობას, არამედ იმასაც, თუ რას აკეთებენ ისინი პოლიტიკური ცოდნის შეძენისათვის. პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ბრიგადირი თუ მერგოლური სწრაფად უღებს ალღოს საქმეს და უკეთესად ართმევს თავს მუშაობას. ამ მხრივ მათი პასუხისმგებლობა იზრდება, რადგან პარტორგანიზაციის მდივანი და თავმჯდომარე მათ სისტემატურად და სერიოზულად ამოწმებენ.

მოვიყვანოთ მეორე მაგალითი.

სტალინირის რაიონის სოფელ მაღალდაანთუბნის კოლმეურნეობა ჩამორჩენილია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ მაღალდაძე, რომელსაც პედაგოგიურ ინსტიტუტშიც უსწავლია, ფიქრობს საკმარისი განათლება მიიღო და უკანასკნელ ხანებში თითქმის არაფერს აკეთებს თავის პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. როცა მას ეკითხეთ, მხატვრული ლიტერატურიდან რა წაიკითხა, განცვიფრებულმა გვიპასუხა — განა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რომანებისა და ლექსების საკითხად დრო აქვს? იმდენი საქმე მაქვს, გაზეთებსაც ვერ ვკითხულობო. ამხ. მაღალდაძე არც აგრონომიული ლიტერატურითა არის დაინტერესებული. მან ისიც არ იცოდა, რა სიღრმეზე ითვალისწინებს აგროწესები მზრალად ხვნას. 8 სექტემბერს მინდვრად მომუშავე გუთნეულები ინახულა თავმჯდომარემ. მზრალად ხვნას უწინასაკვეთო გუთნებით 12-13 სანტიმეტრ სიღრმეზე ატარებდნენ. თავმჯდომარეს ამის შესახებ არაფერი შენიშვნა არ მიუცია გუთნისდედებისათვის. ასეთი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობა ვერ ასრულებს მოსავლიანობის გეგმებს. მოუწესრიგებელია ანგარიშწარმოება. მიღებული მოსავალი აღრიცხული არ არის ცალკეული რგოლების მიხედვით. არასახარბიელო მდგომარეობაა მეცხოველეობის ფერმაში. პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები არ სრულდება. ძროხების ნაწველი გეგმის ნახევარიც არ არის. მეძროხეობის ფერმაში საკონტროლო წველა ერთხელაც არ ჩაუტარებიათ.

კოლმეურნეთა შორის არავინ ეწევა საგაზეთაციო მასობრივ მუშაობას. აქ პარტიული ორგანიზაცია არ არის, კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა კი ჩაშლილია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. მაღალდაძეს ჰგონია წიგნებში რომ ჩაიხედოს, გაზეთები წაიკითხოს, პოლიტიკური ცოდნის შეძენაზე იფიქროს, დრო აღარ ეყოფა საქმის გაძღოლისათვის. ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ იგი ნაკლოვანებებს ვერ ამჩნევს, კოლმეურნეობას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს.

**ვ. ბელაშვილი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# ნლიური გეგმის გადამეჯეგბით

მნახველის თვალს ახარებს საგულდაგულოდ მოვლილი თამბაქოს პლანტაციები. ძალა და ღონე არ დაუზოგავთ ბოლნისელ კოლმეურნეებს, რომ წელს თამბაქოს უხვი მოსავალი მოეყვანათ. დროზე და მაღალხარისხოვნად დაუმუშავებიათ მათ პლანტაციები, ნიადაგში სათანადო რაოდენობით შეუტანიათ სასუქიც. ამის შედეგია თამბაქოს კარგი მოსავალი.

დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ისიანი) ნაკისრი აქვთ 17 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 20 ცენტნერი თამბაქოს მოყვანა. ვალდებულების შესასრულებლად აქ საუკეთესოდ იმუშავეს, დროულად გაითვალისწინეს ნიადაგის ვარგისიანობა, სათბო, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, ადგილის მდებარეობა და სხვ. კარგად გამოიყენეს აგრეთვე მოწინავე კოლმეურნეთა მდიდარი გამოცდილება. ამის შედეგად კოლმეურნეობაში საშუალოდ 30 ცენტნერ თამბაქოს მოელიან.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა პ. ჭოხონელიძის ბრიგადა, რომელსაც მოსავლელად 8,5 ჰექტარი თამბაქოს პლანტაცია აქვს მიჩენილი. მოსავლის აღების დაწყებიდანვე ბრიგადამ სანიმუშოდ დაიყენა აღრიცხვა, დანაკარგებთან ბრძოლის მიზნით ფარდულებში მოაწყო მიწურები, სადაც ხდება თამბაქოს ფოთლების შერბილება, ჩამონაცვენ თამბაქოს მაშინვე აგროვებენ. ასეთი მუშაობის შედეგად ბრიგადირმა პ. ჭოხონელიძემ თამბაქოს მოსავლის აღების წლიური გეგმა 15 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 110 ათასი ზონარმეტრისა შეტეხა 127.077 ზონარმეტრი თამბაქო. ახლა იგი იბრძვის იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით კიდევ შეტეხოს 40 ათასი ზონარმეტრი თამბაქო.

წინ მიდის აგრეთვე ოლიკ ქსოვრელის ბრიგადა. მან თამბაქოს კარგი მოვლის შედეგად წლიურ გეგმას 26.328 ზონარმეტრი თამბაქოთი გადაჭარბა. ახლა კი აქ მუშაობენ იმისათვის, რომ დამატებით შეტეხონ 35 ათასი ზონარმეტრი თამბაქო.

კარგი წარმატება აქვს ამ ბრიგადის მერგოლურს ვ. ასათიანს. წელს მას ნაკისრი აქვს 4,25 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოყვანოს 30 ცენტნერი თამბაქო. ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად აქ თავდადებით მუშაობენ. მთელ ფართობზე უკვე შეტეხილი აქვთ 70.714 ზონარმეტრი თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 ათასისა. მერგოლური ასათიანი ამით როდი კმაყოფილდება. მან იკისრა გეგმის გადამეტებით 20 ათასი ზონარმეტრი თამბაქოს შეტეხა.

თამბაქოს უხვი მოსავალი მოყავთ ბოლნისის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე ა. ხიდაშელი). აქ 14 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე წელს მოსალოდნელია 30 ცენტნერი თამბაქოს მიღება. დღემდე ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი თამბაქოა მიღებული, ხოლო თამბაქოს პლანტაციებს არც კი ემჩნევა — შეტეხილია თუ არა. მესამე ბრიგადამ (ხელმძღვანელი დ. სირაძე) თამბაქოს შეტეხის წლიურ გეგმას 17 ათასი ზონარმეტრით გადააჭარბა. ბრიგადა დამატებით 30 ათას ზონარმეტრ თამბაქოს აღებას გეპირდება. ასევე თამბაქოს კარგ მოსავალს იღებს და წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ვ. ბოჭორიშვილის ბრიგადამაც. ასეთი მოწინავეები რაიონში მრავალია.

**შ. ჭოჭუა**

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

# ავჭალოსანის მეჩოთელოს ზეიმი

26 სექტემბერს ამბროლაურის რაიონის მშრომელებს დიდი ზეიმი ჰქონდათ. ამ დღეს მდინარე რაინზე გაიხსნა ახალი ხიდი, რომელიც რაიონის გაღამაღმა სოფლებს აკავშირებს ერთმანეთთან და დიდად შეეწყობის ხელს ამ სოფლების შემდგომ წინსვლას.

ხიდის გახსნაზე დასასწრებლად მოეიდნენ რაიონის თითქმის ყველა სოფლიდან, ყველა კოლმეურნეობიდან. საზეიმო მიტინგი გახსნა მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა შ. კოგახიძემ. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზათა მთავარი სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ი. შუკაკიძემ, სოფელ ქვარცხუთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. საგანელიძემ, რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენელმა კ. ხიდაშელმა, ახალგაზრდობის წარმომადგენელმა ქ. დალაქიშვილმა და ნ. ფანჯავიძემ. მიტინგმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

ხიდის გახსნას დაესწრო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სატრანსპორტო განყოფილების გამგე ამხ. მ. ბალაევი.

* * *

ახლად გახსნილი ხიდი, ადგილობრივი სამუშაოებების მაქსიმალური გამოყენებით გაკეთდა, მისი მშენებლობა რაიონის მშრომელთა აქტიური მონაწილეობით ერთ წელიწადსა და ათ თვეში დამთავრდა. ხიდის მშენებლობაში შრომითი თავდადების საუკეთესო ნიმუშები გამოავლინეს ივანე ჯელაძისა და ნესტორ გობეჯიშვილის ბრიგადებმა, რომლებიც საყრდენების ამოყვანაზე მუშაობდნენ. ასეთივე წარმატებით მუშაობდნენ სარდიონ კობახიძისა და პორფილე გამყრელიძის ბრიგადები.

მშენებლობას უნარიანად ხელმძღვანელობდნენ მშენებლობის უფროსი ამხ. ა. ომიაძე, ტექნიკოსი დ. ხიდუელი და სხვ. ახალ ხიდზე მოძრაობა უკვე გახსნილია.

**დ. ლომთათაძე**

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

# უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესი

## ანდრაშ საღაის დაკითხვა

**ბუდაპეშტი,** 19 სექტემბერი. (საკუთარი). დაკითხულ იქნა მეხუთე ბრალდებული ანდრაშ სალაი, სასამართლოს თავმჯდომარის კითხვაზე, სცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებებში, სალაი დადებითად უპასუხებს.

შემდეგ ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს თავისი საზიზღარი პროვოკატორული და გამცემლური საქმიანობის გრძელ ამბავს. პოლიციის თანამშრომლად, აჩვენებს სალაი, იგი მიიწვიეს 1933 წელს ქალაქ პეჩში. მანამდე იგი მონაწილეობას იღებდა სოციალისტურ მოძრაობაში და, როგორც თვითონ აჩვენებს, პოლიტიკურად საკმაოდ გახარწნილი იყო. 1932 წელს იგი ჩაება ახალგაზრდობის კომუნისტურ მოძრაობაში, დაპატიმრებულ იქნა და პოლიტიკურ პოლიციაში პირველი დაკითხვისთანავე გასცა ახალგაზრდობის, მთელი არალეგალური კომუნისტური ორგანიზაცია, რომელშიც თვითონ ირიცხებოდა. პოლიტიკური პოლიციის ინსპექტორმა რეტიმ, რომელმაც სალაი დაჰკითხა, წინადადება მისცა მას დაიმყარებინა კავშირი პოლიციასთან, და იგი დაუყოვნებლივ დათანხმდა.

— მე დამეგალა, — ამბობს ბრალდებული, — შემეტყო, ვინ დარჩა ორგანიზაციის წევრებიდან კიდევ ისეთი, რომელსაც ჰორტისტული პოლიცია არ იცნობდა. მე მოვახერხე ამ ორგანიზაციის წევრთა ნდობის მოპოვება და გ

# უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესი

(დასასრული)

— ჩემთან მოვიდა ვინმე ვადაში და რანკოვიჩის დავალებით მაცნობა, რომ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს უნგრეთში საბჭოთა კავშირის მზარდი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა, რისთვისაც საჭიროა ყველა იმათი გაერთიანება, ვინც უკმაყოფილო სახალხო-დემოკრატიული რეჟიმით და მათ მაგალითად უნდა დავუსახოთ იუგოსლავია. ვადაშმა მითხრა, რომ, რანკოვიჩის ცნობებით, უნგრეთის კომუნისტურ პარტიაში არის ძლიერი ნაციონალისტური დაჯგუფება და რომ მე უნდა დავუკავშირდე მას.

ეჭვი არა მაქვს, ამბობს ბრალდებული, რომ ვადაში მეტად მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებდა, ვინაიდან მას მუდამ თან ახლდა ადამიანთა დიდი ჯგუფი და საუბრის დროს უნგრეთის შინაპოლიტიკური ცხოვრების საკითხების კარგ ცოდნას იჩენდა და მუდამ იმოწმებდა რანკოვიჩთან პირად საუბარს.

ორი მუშათა პარტიის გაერთიანების შემდეგ,—ამბობს ბრალდებული,—მე ვადაშს კიდევ მხოლოდ ერთხელ შევხვდი 1948 წლის შემოდგომაზე. მან დაიმოწმა რანკოვიჩის პირადი მითითებანი, მიბძანა მომავლის გეგმებზე და განაცხადა, რომ მათი მიზანია, ისევე როგორც, ალბათ, ჩემიც, — უნგრეთი ჩამოვაშოროთ საბჭოთა კავშირს და იუგოსლავიის მხარეზე დავაყენოთ იგი. ამისათვისო,—თქვა მან, — უნდა დაემხოს არსებული მთავრობა. იგი მეკითხებოდა, რა ძალები შეგეძლო გამოიყენონ ამისათვისო.

ბრალდებული უპასუხებს სასამართლოს თავმჯდომარის კითხვებზე და აჩვენებს, რომ ვადაშმა რანკოვიჩის თანხმობით მაცნობა, რომ უნგრეთის კომუნისტურ პარტიაში არის ნაციონალისტური დაჯგუფება. იგი ამბობდა, განსაკუთრებულ მითითებას ველოდები ბელგრადიდან ამ დაჯგუფების ხელმძღვანელთან კავშირის დასამყარებლადო, მაგრამ მორიგი შეხვედრა ვადაშთან უკვე აღარ მოხდა, ვინაიდან ბრალდებული დააპატიმრეს.

იუსტუსი უპასუხებს სასამართლოს თავმჯდომარის კითხვაზე და ამბობს, რომ ვადაშთან უკანასკნელი შეხვედრის დროს იგი დაინტერესდა, თუ იუგოსლავიელი ხელმძღვანელები, გარდა საკუთარი ძალებისა, რა ძალებზე დაყრდნობას ვარაუდობენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში.

— ვადაშმა მიპასუხა, — ამბობს ბრალდებული, — რომ მათ იმედი აქვთ მეტად ძლიერი მოკავშირეებისა, და მე მიკბენდა, რა თქმა უნდა, რომ საქმე ეხებოდა ანგლო-საქსონს, უმთავრესად ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ბრალდებული ამბობს, რომ იგი ასრულებდა რანკოვიჩის მითითებებს, ეწეოდა აქტიურ ტროცკისტულ პროპაგანდას, განაახლა ურთიერთობა ყველა ძველ ტროცკისტ მეგობართან და შექმნა ორი არალეგალური დაჯგუფება, რომელთაგან პირველი ძალიან მცირე რაოდენობის პირთაგან შედგებოდა, მეორე კი უფრო ფართო შემადგენლობისა იყო.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ კავშირს დავამყარებდი იუგოსლავიათან, — აჩვენებს იუსტუსი, — მე მივიღე წერილი პალ დემენიისაგან (უნგრეთის ყოფილი ტროცკისტული ჯგუფის ხელმძღვანელი—**რედ. შენიშვნა**), რომელმაც იგი ს